დამტკიცებულია

რექტორის 01.03.2021 წლის №ო/06 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო-კვლევითი/მეთოდური/შემოქმედებითი საქმიანობის წესი და პროცედურები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის წესი და პროცედურები (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო-კვლევით / მეთოდურ / შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული სხვა პერსონალის/სტრუქტურული რგოლის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი აქტივობის შეფასების პირობებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს, არეგულირებს შეფასების პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.

მუხლი 2. შეფასების მიზანი

შეფასების მიზანია სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა, ხარისხის ამაღლება და ამ მიზნით სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის მონიტორინგი.

აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებით პროცესში ჩართული სხვა პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, მოტივაცია და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა. რაც ასევე გამოიხატება წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით.

მუხლი 3. შეფასების წესი და პროცედურები

სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისა (დანართი 2) და შეფასების ფორმის (დანართი 1) მიხედვით. სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია წელიწადში ერთხელ. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები/აკადემიური პერსონალი ვალდებულნი არიან კომისიას მიაწოდონ შესაბამისი ფორმით გამოთხოვილი (დანართი 1) ინფორმაცია, ინფორმაციის გამოთხოვიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში (ჩვეულებისამებრ - სასწავლო წლის დასრულებისას). შეფასების ფორმას მხარეები ავსებენ თვითშეფასების პრინციპით (ქულების დაწერის მხრივაც), რა დოკუმენტსაც შემდგომში განიხილავს შემფასებელი მხარე.

შეფასების პროცესში კომისია თანამშრომლობს როგორც შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან და აკადემიურ პერსონალთან, აგრეთვე, საჭიროებიდან გამომდინარე, მოწვეულ სპეციალისტებთან.

შეფასების შედეგად მიღებული შედეგები დაჯამდება და გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშისთვის.

სასწავლებლის ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს, გარკვეული სახით წაახალისოს ან შენიშვნა მისცეს მონიტორინგის შედეგად, შესაბამისად, წარმატებულ და წარუმატებელ მხარეებს. ასევე, მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ მხარეებს ეგზავნებათ მონიტორინგის პერსონალური შედეგები.

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებაში მონაწილე მხარეები

სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია. შეფასებას ექვემდებარება ყველა ის სტრუქტურული ერთეული და პერსონალი, რომელიც ჩართულია და ახორციელებს დაწესებულების მიერ დაფინანსებულ ან/და დაწესებულების ფარგლებში განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით, მეთოდურ და შემოქმედებით საქმიანობას.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება არის თანამონაწილეობითი პროცესი. პროცესის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, ფაკულტეტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით / მეთოდურ / შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული პერსონალის ინფორმირებას შეფასების პროცესთან დაკავშირებით, რისთვისაც იყენებს როგორც წერილობით ცნობებს, ისე საკონსულტაციო შეხვედრების ფორმატს.

დანართი №1

აკადემიურ/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების ფორმა

სახელი, გვარი	
სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი	
აკადემიური თანამდებობა	
დარგი/მიმართულება	
სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი აქტივობის განხორციელების პერიოდი	(ამ ველში უნდა მიეთითოს განხორციელების პერიოდი მაგ: 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე)
საკონტაქტო ინფორმაცია	

1. **სამეცნიერო ნაშრომები**

#	**სამეცნიერო ნაშრომები**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
1.1.	სახელმძღვანელო	**25**		
1.2.	სამეცნიერო მონოგრაფია	**25**		
1.3.	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის /სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა	**15**		
1.4.	სასწავლო-საცნობარო ლიტერატურა	**10**		

1.5.	ლექსიკონის შედგენა	**10**		
1.6.	რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში/ბაზაში გამოქვეყნებული სტატია ან საზღვარგარეთის საერთაშორისო კონფერენციის მასალებში გამოქვეყნებული მოხსენება	**15**		
1.7.	სამეცნიერო სტატია ადგილობრივ სამეცნიერო გამოცემაში ან მოხსენება კონფერენციის კრებულში	**10**		
1.8.	სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის / სამეცნიერო კრებულის რეცენზირება	**5**		
1.9.	სამეცნიერო ჟურნალის / შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრობა	**5**		
1.10.	სამეცნიერო ნაშრომის ან სახელმძღვანელოს თარგმანი	30 გვერდამდე - **10** ქულა: 30-50 გვ. გვერდამდ -**15** ქულა, 50 გვერდზე მეტი - **20** ქულა.		
1.11.	სტუდენტური კონფერენციების, კონკურსების, სტუდენტთა სხვა აკადემიური აქტივობების ორგანიზატორობა და ჟიურის ხელმძღვანელობა	**10**		
1.12	სტუდენტური კონფერენციების, კონკურსების, სტუდენტთა სხვა აკადემიური აქტივობების ჟიურის წევრობა	**5**		
1.13.	სანოტო პუბლიკაცია	**15**		

2. სამეცნიერო მოხსენებები

#	**სამეცნიერო მოხსენებები**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
2.1.	საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე (კონფერენციაზე / კონგრესზე / სიმპოზიუმზე / სემინარზე და ა.შ.) მოხსენება ან პრეზენტაცია	**15**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** ღონისძიების დასახელება, მოხსენების თემა, ჩატარების ადგილი, თარიღი (ერთზე მეტი ავტორის შემთხვევაში მიეთითოს თანაავტორი).	
2.2.	ადგილობრივ კონფერენციაზე, კონგრესზე და ა.შ. სამეცნიერო-მოხსენება	**10**		

3. სამეცნიერო გრანტები

#	**სამეცნიერო გრანტები**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
3.1.	დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა	**20**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** ფონდი, გრანტის სახელწოდება, პროექტის ტიპი, პროექტის დამტკიცების თარიღი, შესრულების ვადა (არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ თანახელმძღვანელი).	
3.2.	სამეცნიერო გრანტში მონაწილეობა	**10**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** ფონდი, გრანტის სახელწოდება, პროექტის ტიპი, თარიღი, მონაწილის ფუნქცია და პროექტის მოკლე აღწერილობა.	

4. **დარგის სპეციალისტის მომზადება- ხელმძღვანელობა**

#	**დარგის სპეციალისტის მომზადება- ხელმძღვანელობა**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
4.1.	საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობა	**10**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასახელება, დამტკიცების თარიღი.	
4.2.	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	**10**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** მაგისტრანტის სახელი, გვარი, ნაშრომის დასახელება, თარიღი.	
4.3.	სამაგისტრო ნაშრომის ოპონირება	**5**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** მაგისტრანტის სახელი, გვარი, ნაშრომის დასახელება, თარიღი.	
4.4.	საბაკალავრო ნაშრომის/შემოქმედებითი პროექტის ხელმძღვანელობა	**5**		

5. **სასწავლო პროგრამების და მეთოდიკის ჩამოყალიბება - განვითარება**

#	**სასწავლო პროგრამების და მეთოდიკის ჩამოყალიბება - განვითარება**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
5.1.	კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მომზადება და დანერგვა	**10**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** კვალიფიკაციის ამაღლების კურსის დასახელება, გამართვის ადგილი, თარიღი.	
5.2.	კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის/ტრენინგის გავლა	**5**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** კურსის (ტრეინინგის)	

			ორგანიზატორი, გამართვის ადგილი, თარიღი.	
5.3.	საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობის მიღება	**5**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასახელება, დამტკიცების თარიღი.	
5.4.	სალექციო კურსის (მოდულის) ხელმძღვანელობა	**5**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** სალექციო კურსის (მოდულის) დასახელება, დამტკიცების თარიღი.	
5.5.	ინდივიდუალური სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში მეთოდური მითითების შემუშავება	**5**		

6. პატენტი (საავტორო მოწმობა)

#	**პატენტი (საავტორო მოწმობა)**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
6.1.	უცხოური პატენტი (საავტორო მოწმობა)	**25**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** ავტორი (ერთზე მეტი ავტორის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ყველა მათგანი), ქვეყანა, შეტანის თარიღი, რეგისტრაციის ნომერი, აღწერილობა.	
6.2.	ადგილობრივი პატენტი (საავტორო მოწმობა)	**15**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** ავტორი (ერთზე მეტი ავტორის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ყველა მათგანი), საქპატენტში შეტანის თარიღი, რეგისტრაციის ნომერი,	

			აღწერილობა.	

7. სამეცნიერო სტიპენდია, პრემია

#	**სამეცნიერო სტიპენდია, პრემია**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
7.1.	საერთაშორისო სამეცნიერო სტიპენდია	**15**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** სტიპენდიის გამცემი ფონდი ან ორგანიზაცია, სტიპენდიის ხანგრძლივობა, სტიპენდიის დანიშნულება /აღწერა.	
7.2.	ადგილობრივი სამეცნიერო სტიპენდია	**10**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** სტიპენდიის გამცემი ფონდი ან ორგანიზაცია, სტიპენდიის ხანგრძლივობა, სტიპენდიის დანიშნულება/აღწერა.	
7.3.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული/საზღვარგარეთის/საერთაშორისო აკადემიის წევრობა	**15**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** აკადემიის წევრად / წევრ-კორესპონდენტად არჩევის დადგენილება, თარიღი.	
7.4.	დარგობრივი სამეცნიერო აკადემიების წევრობა	**15**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** დადგენილება, თარიღი.	
7.5.	სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო ჯილდო	**15**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** ჯილდოს გამცემი ორგანო, გაცემის ადგილი, გაცემის თარიღი.	

8. სამეცნიერო კონგრესის/კონფერენციის/ სიმპოზიუმის თავმჯდომარეობა

#	**სამეცნიერო ფორუმების თავჯდომარეობა**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
8.1.	საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის ორგანიზება	**15**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** ღონისძიების დასახელება, თემატიკა, ჩატარების ადგილი, თარიღი.	
8.2.	ადგილობრივი სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის ორგანიზება	**10**	**ამ ველში უნდა მიეთითოს:** ღონისძიების დასახელება, თემატიკა, ჩატარების ადგილი, თარიღი.	
8.3.	ადგილობრივი სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის სხდომის თავმჯდომარეობა	**5**		

9. სხვა შემოქმედებითი/სახელოვნებო აქტივობა

#	**სხვა შემოქმედებითი / სახელოვნებო აქტივობა**	**საორიენტაციო ქულა**	**აღწერა** *(ივსება პერსონალის მიერ)*	**თვითშფასების ქულა** *(ივსება პერსონალის მიერ)*
9.1.	საერთაშორისო დონის სოლო კონცერტის მომზადება და გამართვა	**15**		
9.2.	ადგილობრივი მასშტაბის სოლო კოცნერტის მომზადება და გამართვა	**10**		
9.3.	საერთაშორისო დონის კონცერტში მონაწილეობა	**10**		
9.4.	ადგილობრივ კონცერტში რამდენიმე ნომრით მონაწილეობა	**5**		
9.5.	საერთაშრისო საშემსრულებლო კონკურსში გამარჯვება (ან	**15**		

	ჯილდო)			
9.6.	ადგილობრივ საშემსრულებლო კონკურსში გამარჯვება (ან ჯილდო)	10		
9.7.	სოლო აუდიო/ვიდეო ჩანაწერის (დისკის) მომზადება	15		
9.8.	აუდიოჩანაწერები რომელიმე მედიაგამოცემაში	5		
9.9.	საჯარო ლექციის მომზადება/ჩატარება	5		
9.10.	საშემსრულებლო ვორკ-შოპის, მასტერკლასის ჩატარება	5		
9.11.	სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში ან ზოგადად პრესაში თემატური ხასიათის პუბლიკაცია	5		
9.12.	რადიო-სატელევიზიო გადაცემებში თემატური მონაწილეობა	5		
9.13.	ექსტრაკულრუკულარული აქტივობები (წირვებში, მომლოცველობაში, ექსკურსიებში, და სხვა საღვთისმსახურო თუ კულტურულ ღონისძიებებში თანამშრომელთა და სტუდენტთა მონაწილეობა)	5		

(10. დამატებით ფორმის შემვსებელს ნება ეძლევა ასახოს თავისი ისეთი აქტივობები, რომლებიც წინამდებარე ფორმით არ განისაზღვრა)

#	გთხოვთ მიუთითოთ დამატებითი აქტივობები (ქულის მითითების გარეშე)
10.1.	

შენიშვნა: დანართის სახით (ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით) უნდა იყოს წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დასაბუთება.

პერსონალის ხელმოწერა

შევსების თარიღი:

აკადემიურ/სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული პერსონალისა და სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები

1. სამეცნიერო ნაშრომები (თანაავტორობით შესრულებული ნაშრომის

შემთხვევაში ქულები იყოფა თანაავტორთა რაოდენობაზე)

1.1. სახელმძღვანელო[1] - 25 ქულა;

1.2. სამეცნიერო მონოგრაფია[2] – 25 ქულა;

1.3. სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის/სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა[3] – 15 ქულა;

1.4. სასწავლო-საცნობარო ლიტერატურა[4] – 10 ქულა.

1.5. ლექსიკონის შედგენა – 10 ქულა;

1.6. რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში/ბაზაში გამოქვეყნებული სტატია ან საზღვარგარეთის საერთაშორისო კონფერენციის მასალებში გამოქვეყნებული მოხსენება - 15 ქულა;

1.7. სამეცნიერო სტატია ადგილობრივ სამეცნიერო გამოცემაში ან მოხსენება კონფერენციის კრებულში - 10 ქულა;

1.8. სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის / სამეცნიერო კრებულის რეცენზირება – 5

ქულა;

1.9. სამეცნიერო ჟურნალის/შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის

წევრობა - 5 ქულა;

1.10. სამეცნიერო ნაშრომის ან სახელმძღვანელოს თარგმანი[5] - 30 გვერდამდე - 10 ქულა: 30 გვერდიდან 50 გვერდამდე -15 ქულა, 50 გვერდზე მეტი -20 ქულა.

1.11. სტუდენტური კონფერენციების, კონკურსების, სტუდენტთა სხვა აკადემიური აქტივობების ორგანიზატორობა და ჟიურის ხელმძღვანელობა - 10 ქულა,

1.12. სტუდენტური კონფერენციების, კონკურსების, სტუდენტთა სხვა აკადემიური აქტივობების ჟიურის წევრობა - 5 ქულა.

1.13 - სანოტო პუბლიკაცია - 15 ქულა.

2. სამეცნიერო მოხსენებები:

2.1. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე (კონფერენციაზე / კონგრესზე / სიმპოზიუმზე / სემინარზე და ა.შ.) სამეცნიერო მოხსენება ან პრეზენტაცია- 15 ქულა;

2.2. ადგილობრივ კონფერენციაზე, კონგრესზე და ა.შ. სამეცნიერო მოხსენება - 10 ქულა.

3. სამეცნიერო გრანტები:

3.1. დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა - 20 ქულა;

3.2. მონაწილეობა - 10 ქულა.

4. დარგის სპეციალისტის მომზადება - ხელმძღვანელობა:

4.1. საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობა - 10 ქულა;

4.2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა- 10 ქულა;

4.3. სამაგისტრო ნაშრომის ოპონირება - 5 ქულა;

4.4. საბაკალავრო ნაშრომის/შემოქმედებითი პროექტის ხელმძღვანელობა- 5 ქულა.

5. სასწავლო პროგრამების და მეთოდიკის ჩამოყალიბება-განვითარება:

5.1. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მომზადება და დანერგვა[6] – 10 ქულა;

5.2.კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის/ტრენინგის გავლა[7] – 5 ქულა;

5.3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობის მიღება[8] - 5 ქულა;

5.4. სალექციო კურსის (მოდულის) ხელმძღვანელობა - 5 ქულა.

5.5. ინდივიდუალური სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში მეთოდური მითითებების შემუშავება - 5 ქულა.

6.პატენტი (საავტორო მოწმობა):

(თანაავტორობით შესრულებული საპატენტოდ განსაზღვრული ნამუშევრის შემთხვევაში ქულები იყოფა თანაავტორთა რაოდენობაზე)

6.1. უცხოური პატენტი (საავტორო მოწმობა) - 25 ქულა;

6.2. ადგილობრივი პატენტი (საავტორო მოწმობა) –15 ქულა.

7. სამეცნიერო სტიპენდია, პრემია:

7.1. საერთაშორისო სამეცნიერო სტიპენდია - 15 ქულა;

7.2. ადგილობრივი სამეცნიერო სტიპენდია - 10 ქულა;

7.3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული/საზღვარგარეთის/საერთაშორისო აკადემიის წევრობა - 15 ქულა;

7.4. დარგობრივი-უცხოური/საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიების წევრობა - 15 ქულა;

7.5.სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო

ჯილდო – 15 ქულა.

8. სამეცნიერო კონგრესის /კონფერენციის/ სიმპოზიუმის თავმჯდომარეობა:

8.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის ორგანიზება - 15 ქულა;

8.2. ადგილობრივი სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის ორგანიზება - 10 ქულა,

8.3. ადგილობრივი სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის სხდომის თავმჯდომარეობა - 5 ქულა.

9. შემოქმედებითი და სასწავლებლის თემატიკის შესაბამისი საზოგადოებრივი აქტივობები:

9.1. საერთაშორისო დონის სოლო კონცერტის მომზადება და გამართვა - 15 ქულა.

9.2 ადგილობრივი მასშტაბის სოლო კოცნერტის მომზადება და გამართვა - 10 ქულა.

9.3 საერთაშორისო დონის კონცერტში მონაწილეობა - 10 ქულა.

9.4. ადგილობრივ კონცერტში რამდენიმე ნომრით მონაწილეობა - 5 ქულა.

9.5. საერთაშრისო საშემსრულებლო კონკურსში გამარჯვება (ან ჯილდო) - 15 ქულა.

9.6. ადგილობრივ საშემსრულებლო კონკურსში გამარჯვება (ან ჯილდო) - 10 ქულა.

9.7. სოლო აუდიო/ვიდეო ჩანაწერის (დისკის) მომზადება - 15 ქულა.

9.8. აუდიოჩანაწერები რომელიმე მედიაგამოცემაში - 5 ქულა.

9.9. საჯარო ლექციის მომზადება/ჩატარება - 5 ქულა.

9.10. საშემსრულებლო ვორკ-შოპის, მასტერკლასის ჩატარება - 5 ქულა.

9.11. სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში ან ზოგადად პრესაში თემატური ხასიათის პუბლიკაცია - 5 ქულა.

9.12. რადიო-სატელევიზიო გადაცემებში თემატური მონაწილეობა - 5 ქულა.

9.13. ექსტრაკულრუკულარული აქტივობები (წირვებში, მომლოცველობაში, ექსკურსიებში, და სხვა საღვთისმსახურო თუ კულტურულ ღონისძიებებში თანამშრომელთა და სტუდენტთა მონაწილეობა) – 5 ქულა.

პერსონალის მიერ მითითებული სხვა აქტივობები შეფასდება ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული და რექტორის დამტკიცებული კომისიის მიერ ერთჯერადად, ქულების რაოდენობის მითითებით და შეფასების ფორმაში ცალკე გრაფაში აღინიშნება.

განმარტებები

[1]სახელმძღვანელოდ ჩაითვლება საგანგებოდ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად შექმნილი, აკადემიური აპარატით აღჭურვილი რესურსი (კონკრეტული თემატიკის სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, თვალსაზრისები; მეთოდური მითითებები და წყაროები; კითხვარი/დავალება/სავარჯიშო).

[2]მონოგრაფიად ჩაითვლება ერთი დარგის ან ინტერდისციპლინური მიდგომით შესრულებული ვრცელი გამოკვლევა სამეცნიერო სტანდარტით დადგენილი აკადემიური აპარატით.

[3] სამეცნიერო კრებულად ჩაითვლება ერთი ან რამდენიმე ავტორის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, რომელიც ეძღვნება ერთ რომელიმე თემას, თარიღს. ასევე, გამოქვეყნებული კონფერენციის/სიმპოზიუმის მასალები.

[4]სასწავლო-საცნობარო ლიტერატურად ითვლება: ლექტორის მიერ შედგენილი სასწავლო კონსპექტური კურსი/რიდერი, მეთოდური მითითებები, წყაროების/დოკუმენტებისა და ავტორთა საძიებელი, ტერმინოლოგიური თუ სხვა ტიპის სალექსიკონო ცნობარები.
[5]თარგმანად ჩაითვლება საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო სამეცნიერო, სასწავლო ან წყაროს (ტექსტის) სრული ან ნაწილობრივი თარგმანი უცხო ენიდან ქართულად ან პირიქით (თანდართული ლექსიკონით ან მის გარეშე).

[6]კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მომზადება და დანერგვა გულისხმობს როგორც ავტონომიურად სასწავლებელში, ისე დაწესებულების ეგიდით მის გარეთ განხორციელებულ აქტივობებს.

[7]კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის გავლად ითვლება დამსაქმებელი დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი ინსტიტუციის/ინდივიდის მიერ დაგეგმილი / შემოთავაზებული მომზადება / გადამზადება.

[8]საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება გულისხმობს სასწავლებლის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის) შემუშავებასა თუ განვითარებაში კომისიური წესით მონაწილეობის მიღებას.